

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება №733  
2014 წლის 26 დეკემბერი ქ.თბილისი**

**შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და  
განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების სამოქმედო  
გეგმის დამტკიცების შესახებ**

**მუხლი 1**

შრომისა და დასაქმების სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციების, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნათა შესრულების, ქვეყნის შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების, სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „პ“ და „ფ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების თანდართული კონცეფცია (დანართი №1) და შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარების 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმა (დანართი №1.1).

2. დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფციის განხორციელების პროცესის კოორდინაცია და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. (7.07.2017 N 331)

3. დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ამ დადგენილების დანართ №1-ით გათვალისწინებულ სამინისტროებთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და ორგანიზაციებთან შესაბამისი თანამშრომლობის განვითარება. (7.07.2017 N 331)

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 31 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

*ირაკლი ღარიბაშვილი*

დანართი 1

**შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა  
და განვითარების კონცეფცია**

**შესავალი**

საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში შრომის ბაზრის მწვავე პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას. 2013 წელს წარმატებით დასრულდა ევროკავშირის დელეგაციასთან საქართველოში დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სფეროში სექტორული რეფორმების მხარდაჭერის მიზნით

საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის საფინანსო შეთანხმების მომზადება. შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების „საფინანსო შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის №2181 განკარგულების საფუძველზე იქნა მოწონებული/ხელმოწერილი. შეთანხმების თანახმად, მომდევნო წლებში საქართველოში უნდა განხორციელდეს სექტორული რეფორმა დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების მიმართულებით. რეფორმის ბიუჯეტია 27 მილიონი ევრო. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის შრომის ბაზრის ინფორმაციისა (labour market information (LMI)) და შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (Labour Market Information System (LMIS)) არარსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს. შესაბამისად, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის კონცეფცია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა ევროკავშირის მიერ დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების ზემოხსენებული პროგრამის დაფინანსების წინაპირობად იქნა მიჩნეული. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარების პროცესში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ძირითადი პარტნიორები არიან საქსტატი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და მათდამი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ასევე კვლევითი ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სოციალური პარტნიორები, რომლებიც შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის კუთხით მუშაობენ საქართველოში. (7.07.2017 N 331)

აღნიშნული სისტემის განუვითარებლობის პირობებში საქართველოს მთავრობა მოკლებულია შესაძლებლობას, სწორად დაგეგმოს და განახორციელოს სახელმწიფო პოლიტიკა: [1] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ აქვს შესაძლებლობა, სრულყოფილი შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარებით ხელი შეუწყოს ფრიქციული (უმუშევრობის არსებული დონის) და სტრუქტურული უმუშევრობის შემცირებასა და შრომის ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსის აღმოფხვრას. ასევე, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შრომის ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ფარგლებში უნდა განვახორციელოთ და განვახორციელოთ პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება დასაქმების, შრომითი მიგრაციისა და ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. [2] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, დაგეგმოს და განახორციელოს პროფესიული სასწავლო პროგრამები, განსაზღვროს მათი დაფინანსების პრიორიტეტები. ადამიანური რესურსების განვითარება კი ეკონომიკის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი ეკონომიკური დარგების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. [3] შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის საჭიროა შრომის ბაზრის მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ ინფორმაციის ფლობა. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის მონაცემები ასევე მნიშვნელოვანია [4] დამსაქმებლებისათვის, სხვადასხვა [5] კვლევითი ინსტიტუტებისა და

[6] საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის (მათ შორის, დონორი ორგანიზაციებისათვის),  
[7] სოციალური პარტნიორობის სამხრეთი კომისიისათვის, რადგან აღნიშნული სისტემა იძლევა წარმოდგენას იმ დანაკლისების შესახებ, რომლებიც განაპირობებენ ქვეყანაში უმუშევრობისა და შრომითი ემიგრაციის მაღალ დონეს, რაც, თავის მხრივ, იწვევს სამუშაო ძალის აქტიური ნაწილის რაოდენობის შემცირებას და სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებულებას. ეს ყოველივე კი უარყოფითად აისახება ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე. (7.07.2017 N 331)

## 2. მტკიცებულებები

უმუშევრობის მაღალი დონე, შეუსაბამობა ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, არაფორმალური დასაქმება და სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ემიგრაცია - შრომის ბაზრის მთავარი გამოწვევაა. უმუშევრობის დონე 2009 წლის (16.9%) შემდეგ მნიშვნელოვნად იკლებდა და 2013 წლისათვის 14.6% შეადგინა. ევროკავშირის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც უმუშევრობა ნაკლებად განათლებულ ფენებშია კონცენტრირებული, საქართველოში უმუშევართა 50%-ს საშუალო სკოლის ატესტატი, ხოლო 40%-ს უმაღლესი განათლების დიპლომი აქვს (WB J.Rutkowski, 2013). შრომის ბაზარზე საჭირო და მიწოდებულ უნარებს შორის დიდი შეუსაბამობაა, რაც ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების სფეროშიც მთავარი გამოწვევა შრომის ბაზრის მოთხოვნის გაუთვალისწინებლობაა, როგორც მოსამზადებელი სპეციალობების სტრუქტურის, ისე მომზადების ხარისხის თვალსაზრისით, (WB J.Rutkowski, 2013). ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი (Constraints Analysis), რომელსაც მთავრობა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან (MCC) ერთად ატარებს, აჩვენებს, რომ ადგილობრივ სამუშაო ძალას არარელევანტური კვალიფიკაციები გააჩნია და არ აქვს ის უნარები, რომელიც ყველაზე მეტად მოთხოვნილია შრომის ბაზარზე. იგივე მიგნება ჩანს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (Global Competitiveness Index) ანგარიშშიც, რომლის მიხედვითაც საქართველოში სათანადო განათლების არმქონე სამუშაო ძალა ბიზნესისათვის აქტუალობით მეორე პრობლემაა.

ქვეყანაში დღეისათვის არსებობს შრომის ბაზრის ინფორმაციის გარკვეული წყაროები, რომლებიც გენერალური ერთობლიობისა და შერჩევითი ერთობლიობის კვლევას/მონაცემთა შეგროვების მექანიზმებს ეფუძნება:

### გენერალური ერთობლიობის კვლევები

ა. მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელსაც სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) ატარებს და საქართველოს მთლიან მოსახლეობას მოიცავს; სხვა მნიშვნელოვან მონაცემებთან ერთად აღწერის კითხვარი ასევე ითვალისწინებს ემიგრაციის მოდულს - უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა დასაქმებისა და ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მისაღებად; აღწერა ასევე გვადლევს ინფორმაციას ქვეყანაში მყოფ უცხოელ შრომით მიგრანტებზე, მათი დასაქმების სფეროებზე და ა.შ;

ბ. Worknet – სამუშაოს მაძიებელთა და ვაკანსიების ონლაინ მონაცემთა ბაზა, რომელსაც დასაქმების სამსახური/სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო მართავს ([www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge)) და მოიცავს სამუშაოს ყველა იმ მაძიებელს, რომელმაც გადაწყვიტა სახელმწიფო დასაქმების სამსახურის მიერ მართულ მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება;

გ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების მონაცემთა ბაზა ([www.emis.gov.ge](http://www.emis.gov.ge)), რომელიც მოიცავს ყველა საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და იმ კერძო სასწავლებლებს, რომელთაც თავად გადაწყვიტეს დარეგისტრირება, ასევე პროფესიული სასწავლებლების ყველა მოსწავლეს და ყველა მასწავლებელს;

(ა) და (გ) პუნქტებში აღწერილი წყაროები ძირითადად შრომის ბაზრის მიწოდების მხარეზე იძლევა ინფორმაციას, ხოლო (ბ) პუნქტში აღწერილ წყაროს, Worknet-ს აქვს შესაძლებლობა მოიცვას როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების მხარე.

შერჩევითი ერთობლიობის კვლევები:

ა. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, (საქსტატი);

ბ. კავკასიის ბარომეტრი (CRRC);

გ. საწარმოთა კვლევა - ბიზნეს სტატისტიკა მსხვილი, მცირე და საშუალო ზომის არაფინანსური კორპორაციებისათვის, (შერჩევის დიზაინში მსხვილი საწარმოები წარმოდგენილია სრულად, ხოლო საშუალო და მცირე საწარმოები შერჩევითი პრინციპით) (საქსტატი);

დ. დაწესებულებათა კვლევა - სოციალური სტატისტიკა შერჩევითი არასამეწარმეო, (არაკომერციული) იურიდიული პირები, (შერჩევის დიზაინში ფინანსური კორპორაციები წარმოდგენილია სრულად, ვალუტის გადამცვლელი ჯიხურების გარდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები სრულად და საჯარო სკოლებისა და ქ. თბილისის ბაგა-ბალები შერჩევითი პრინციპით, ასევე შერჩევითი პრინციპით ხორციელდება არასახელმწიფო არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების (ააიპ) კვლევა) (საქსტატი).

(ა) და (ბ) პუნქტებში აღწერილი კვლევები ფოკუსირებულია მიწოდების მხარის მონიტორინგზე, ხოლო (გ) და (დ) ძირითადად შრომის ბაზრის მოთხოვნის მხარეს მოიცავს.

სხვა ოფიციალური სტატისტიკა/ინფორმაციის წყაროები:

ა. ინფორმაცია გაცემული საიმპერაციო ვიზების თაობაზე, კერძოდ, D1 კატეგორიის ვიზებზე;

(ა) პუნქტში მითითებული მონაცემები ეხება შრომის ბაზრის მიწოდების მხარეს.

ქვემოთ ჩამოთვლილია კვლევები, რომელთა კლასიფიკაციაც შესაძლებელია იყოს, როგორც შემთხვევითი შერჩევის პრინციპზე დაფუძნებული (თუმცა არარეგულარული კვლევები), ასევე ერთჯერადი ინიციატივები, რომლებიც შრომის ბაზრის ინფორმაციის შეგროვებაზე იყო ორიენტირებული:

ა. STEP/ ოჯახების უნარების საზომი კვლევა (STEP/უნარების კვლევა) (მსოფლიო ბანკი და CRRC);

ბ. დამსაქმებელთა მოთხოვნისა და პროფესიული განათლების მიმწოდებელთა თვისებრივი კვლევები საქართველოს რეგიონებში (მსოფლიო ბანკი და ISET);

გ. შრომის ბაზრის კვლევები (IOM);

დ. კერძო დასაქმების სააგენტოების მიერ შეგროვილი ინფორმაცია და ონლაინ მონაცემთა ბაზები ([jobs.ge](http://jobs.ge), [hr.ge](http://hr.ge), [hr.gov.ge](http://hr.gov.ge));

ე. სოციალური პარტნიორების მიერ შეგროვებული ინფორმაცია (GTUC, GEA).

(ა)-(ე) პუნქტებში ჩამოთვლილი წყაროები ფოკუსირებულია შრომის ბაზრის როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხარეზე.

მიუხედავად წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია გაზნეულია და ვერ ხერხდება მისი შეკრება და ანალიზი. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ აღნიშნული პრობლემების ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუციური მიზეზი სწორედ ქვეყანაში შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის არარსებობაა.

### **3. გამოწვევები**

ამჟამად, საქართველოს შრომის ბაზარი შემდეგი გამოწვევების წინაშე დგას:

1. დასაქმების დაბალი და უმუშევრობის მაღალი დონე (საქსტატის მიხედვით 15+ მოსახლეობის დასაქმების დონე 56,6%, ხოლო უმუშევრობა 14,6%-ია).

2. არაფორმალური დასაქმებისა და შრომითი ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი.

3. ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე და ხანგრძლივად უმუშევართა დიდი წილი უმუშევრებს შორის.

4. გრძელვადიანი სტრუქტურული უმუშევრობა, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ინდუსტრიულ-ეკონომიკური სისტემის ჩამოშლით.

5. შრომითი რესურსის არასრული გამოყენება, რაც დასტურდება სამუშაო ასაკს მიღწეულ პირთა შრომის ბაზარზე დაბალი ჩართულობით.

6. არასრულყოფილი ინფორმაცია ქვეყნის სამუშაო ძალის რაოდენობისა და სტრუქტურის, პროფესიული და ტერიტორიული მობილობის, შრომითი ემიგრაციისა და იმიგრაციის შესახებ. (7.07.2017 N 331)

7. დაბალანაზღაურებადი და/ან დაბალკვალიფიციური სამსახურების სიჭარბე, რომლებიც ძირითადად კონცენტრირებულია მომსახურების, აგრარულ და ვაჭრობის სექტორში.

8. ქვეყანაში არსებული სამუშაო ძალის უნარების შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც გამოწვეულია თავად ამ მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის სიმწირით და/ან არარელევანტურობით. (7.07.2017 N 331)

9. ამჟამინდელი შრომის ბაზრის სტრუქტურის, მოთხოვნის რეალური და პოტენციური ზრდის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის აშკარა დეფიციტის არსებობა, რაც გამოწვეულია შრომის ბაზრის კომპონენტებისა და მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის არასისტემური მოძიებით.

10. დასაქმების ხელშეწყობის სერვისების არასაკმარისი განვითარება - კარიერის დაგეგმვისა და პროფკონსულტირების მომსახურებების სიმწირე, რაც გამოწვეულია შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის სიმწირით.

11. არასრულფასოვანი კოორდინაცია განათლების და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პოლიტიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის, რაც გამოწვეულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის არარსებობით.

მთავრობის პრიორიტეტი – „ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ზრდისა და შრომის ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა. (7.07.2017 N 331)

### **4. მიზანი**

შეიქმნას და განვითარდეს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა, მიზანი, რომელიც ორიენტირებულია შრომის ბაზრის მონიტორინგზე, განხორციელებული

პროგრამების შედეგების შეფასებასა და შრომის ბაზრის შესახებ სხვადასხვა მონაწილე მხარისა თუ მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე. (7.07.2017 N 331)

## 5. ამოცანები

1. შრომის ბაზრის ინფორმაციის სისტემის ინსტიტუციური მოწყობის, სისტემის კომპონენტებზე პასუხისმგებელი სტრუქტურების, ინფორმაციის ნაკადების, მონაწილე მხარეების განსაზღვრა, როლებისა და ფუნქციების განაწილება.

2. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ნორმატიული აქტების შემუშავება/მიღება.

3. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ანალიზის განმახორციელებელი ცენტრალური ანალიტიკური ერთეულის შექმნა.

4. შრომის ბაზრის შესახებ არსებული მონაცემების შეკრება, ანალიზი და დანაკლისების გამოვლენა.

5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების შეფასება, მონაცემთა ახალი წყაროებისა და მონაცემთა შეგროვების ახალი შესაძლებლობების - დამატებითი კვლევითი საჭიროებების განსაზღვრა.

6. შრომის ბაზრის კომპონენტთა (მოთხოვნის, მიწოდების, სამუშაო ძალის ფასისა და სამუშაო ძალაზე დანახარჯებისა და ა.შ.) კვლევების ინსტიტუციონალიზაცია. (7.07.2017 N 331);

7. შრომის ბაზრის მონაცემთა ანალიზის შედეგების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

## 6. შედეგები

### შედეგი 1:

განსაზღვრულია შრომის ბაზრის საინფორმაციის სისტემის მოდელი, ინსტიტუციური მოწყობა და როლები. ფუნქციებისა და როლების ინსტიტუციური შესაძლებლობები განსაზღვრული და გადანაწილებულია ინფორმაციის ნაკადების შესაბამისად.

### განხორციელების გზა:

1.1. უნდა დადგინდეს ხარვეზები ინსტიტუციურ როლებსა და ფუნქციებში, რაც მის არარსებობას ან პირიქით, გადაფარვას უკავშირდება. ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია განისაზღვროს სისტემის სტრუქტურა, ძირითადი კომპონენტები.

1.2. როლებისა და ფუნქციების ინსტიტუციური შესაძლებლობების განსაზღვრისათვის უნდა შეფასდეს თითოეული უწყების პასუხისმგებლობა, ადამიანური და ფინანსური რესურსები.

1.3. ინფორმაციის ნაკადების განსაზღვრისათვის უნდა მოხდეს არსებული რეალობის გათვალისწინება. უნდა გამოვლინდეს სისტემის ყველა სუბიექტი, რომლის მიერ მოძიებული/მოგროვილი ინფორმაცია შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას შრომის ბაზრის მონიტორინგისათვის. მაგ.: სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - აგროვებს ინფორმაციას სამუშაო ძალისა და საწარმოთა და დაწესებულებათა კვლევების მიხედვით, ახორციელებს მოსახლეობის აღწერას, (მათ შორის უცხოეთში მყოფ ქართველ

ემიგრანტთა და საქართველოში მცხოვრებ იმიგრანტთა შესახებ). სსიპ - სოციალური მოსახურების სააგენტო (Worknet.gov.ge) აგროვებს ინფორმაციას რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისა და მოწოდებული ვაკანსიების შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - აგროვებს ინფორმაციას განათლების მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის მიხედვით კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - აგროვებს ინფორმაციას ეკონომიკური სექტორების განვითარებისა და არსებული და მოსალოდნელი ინვესტიციების შესახებ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო - ინფორმაციას უცხოელებზე, მათ შორის დასაქმების საფუძველზე, გაცემულ ბინადრობის ნებართვებზე. დასაქმების კერძო სააგენტოები აგროვებენ ინფორმაციას მიწოდებული ვაკანსიებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ. სოციალური პარტნიორები - პროფკავშირები - აგროვებს თვისებრივ ინფორმაციას სამუშაო პირობებზე, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შემთხვევებზე, ხოლო საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აგროვებს წევრი ორგანიზაციებიდან თვისებრივ ინფორმაციას წევრების სამეწარმეო საქმიანობის დროს წარმოშობილი პრობლემების შესახებ; სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია - აგროვებს თვისებრივ ინფორმაციას შრომის ბაზრის ინსტიტუტების, შრომის კანონმდებლობის, სამრეწველო ურთიერთობებისა და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების დახვეწა-განვითარების საჭიროებების შესახებ სოციალური პარტნიორების მოსაზრებებს და სხვ.

### **ინდიკატორი:**

1.1. განსაზღვრულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის მოდელი და ინსტიტუციური მოწყობა. სისტემა არის მრავალკომპონენტური, შექმნილია ინფორმაციის შეკრებაზე, დამუშავებაზე, ანალიზსა და შედეგების გავრცელებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური ერთეული – სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი უწყების შემადგენლობაში. (7.07.2017 N 331)

1.2 შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური სტრუქტურული ერთეულის მიერ შემუშავებულია რეკომენდაციები სისტემაში მონაწილე სუბიექტების პასუხისმგებლობების, ადამიანური და ფინანსური რესურსების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

1.3 იდენტიფიცირებულია შრომის ბაზრის მონიტორინგისათვის არსებული ინფორმაციები და ამ ინფორმაციების მოძიება/შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყებები/ორგანიზაციები.

### **შედეგი 2.**

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებისათვის შემუშავებულია/მიღებულია შესაბამისი ნორმატიული აქტები.

### **განხორციელების გზა:**

უნდა შეფასდეს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემაში მონაწილე თითოეული უწყების ნორმატიული ბაზა, სისტემის შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის

მომზადდეს რეკომენდაციები და საჭიროების შემთხვევაში მომზადდეს შესაბამისი ცვლილების პროექტები.

#### **ინდიკატორი:**

სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის შესწავლილი და შეფასებულია არსებული ნორმატიული ბაზა უწყებების დონეზე. პასუხისმგებელი ცენტრალური სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებულია რეკომენდაციები და საჭირო ცვლილებათა პროექტი (პროექტები).

#### **შედეგი 3:**

შრომის ბაზრის არსებული მონაცემების მოგროვებისა და ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ინფორმაციის დანაკლისები, განსაზღვრულია მონაცემთა მოძიების ახალი წყაროები და დამატებითი კვლევების საჭიროებები.

#### **განხორციელების გზები:**

3.1 უნდა მოხდეს შრომის ბაზრის არსებული მონაცემების დეტალური შესწავლა და ანალიზი. შეფასდეს აღნიშნულ მონაცემთა მოძიება/მოგროვების მეთოდოლოგიები. შრომის ბაზრის სრულყოფილი და ხარისხიანი მონიტორინგისათვის უნდა დადგინდეს ინფორმაციის დანაკლისები.

3.2 მომზადებული რეკომენდაციებისა და იდენტიფიცირებული დანაკლისების საფუძველზე, უნდა განისაზღვროს ამ დანაკლისების აღმოფხვრის ალტერნატიული გზები. საჭიროებიდან გამომდინარე უნდა შემუშავდეს პროექტები დამატებითი კვლევებისთვის.

#### **ინდიკატორი:**

3.1 შესწავლილი და გაანალიზებულია შრომის ბაზრის შესახებ არსებული ინფორმაცია. შეფასებულია ინფორმაციების მოძიება/მოგროვების მეთოდოლოგიები. დადგენილია ინფორმაციის დანაკლისები და აღნიშნულის შესახებ მომზადებულია ანგარიში და რეკომენდაციები.

3.2 განსაზღვრულია ინფორმაციის დანაკლისები, იდენტიფიცირებულია ამ დანაკლისების აღმოფხვრის საშუალებები, შემუშავებულია კვლევითი პროექტები და რეკომენდაციები.

#### **შედეგი 4:**

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის მიერ იდენტიფიცირებულია ის კვლევები (მონაცემთა შეგროვება), რომლის ინსტიტუციონალიზაციაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის.

#### **განხორციელების გზა:**

4.1 არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლენილი დანაკლისებიდან უნდა განისაზღვროს ის საკვანძო მონაცემები, რომლებიც შრომის ბაზრის მონიტორინგისათვის მუდმივად მნიშვნელოვან ცვლადებს წარმოადგენენ და განხორციელდეს ამ ცვლადების მნიშვნელობების მომცემი კვლევების (მონაცემთა შეგროვების) ინსტიტუციონალიზაცია.



4.2 კვლევების ინსტიტუციონალიზაციის მიზნით უნდა განისაზღვროს ამ კვლევებზე (ინფორმაციის მოგროვებაზე) პასუხისმგებელი უწყება, კვლევებისათვის საჭირო დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსები.

**ინდიკატორი:**

განსაზღვრულია შრომის ბაზრის მონიტორინგისათვის მნიშვნელოვანი ცვლადები და კომპონენტთა კვლევების ინსტიტუციონალიზაციაზე პასუხისმგებელი უწყებები. (7.07.2017 N 331)

**შედეგი 5:**

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ანალიზის შედეგები ხელმისაწვდომია, მუდმივად განახლებადია, გამოსაყენებლად მარტივია და გასაგებია სისტემის ნებისმიერი მომხმარებლისათვის.

**განხორციელების გზები:**

5.1. სისტემის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნეს ინფორმაციის გავრცელების ყველა საშუალება: ინტერნეტი, ბეჭდური მედია, საინფორმაციო ბუკლეტები, ტელე-რადიო-მედია საშუალებები.

5.2 უნდა განისაზღვროს სისტემის თითოეული მომხმარებლისათვის (სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები, სკოლის კურსდამთავრებულები, სტუდენტები, სამუშაოს მაძიებლები, დამსაქმებლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები და სხვ.) მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსი და მიწოდების ფორმატი. ინფორმაციის მომზადება უნდა ეფუძნებოდეს სიმარტივეს, რასაც განაპირობებს მისი მახასიათებლების პოპულარულ ენაზე ახსნა და გადმოცემა. მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია იყოს სანდო და დროული.

5.3. შრომის ბაზრის ანალიზის შედეგების გამოყენებისათვის უნდა მოხდეს სისტემის მომხმარებლების ცნობიერების ამაღლება. (7.07.2017 N 331)

**ინდიკატორი:**

5.1 შრომის ბაზრის მონიტორინგის შედეგების ანგარიშები ვებ-გვერდისა და ბეჭდვითი მასალების გავრცელების საშუალებით ხელმისაწვდომია თითოეული დაინტერესებული მხარისათვის.

5.2 მომზადებულია შრომის ბაზრის მონიტორინგის შედეგების ზოგადი და თითოეული მომხმარებლისათვის სპეციფიური, მარტივად აღსაქმელი ანგარიშები.

5.3 ჩატარებული ტრენინგების საფუძველზე მომხმარებლები იყენებენ შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს: გეგმავენ სამთავრობო სტრატეგიებს (განათლების, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის, შრომითი მიგრაციის, ინვესტიციების მოზიდვის, ეკონომიკური განვითარებისა და სხვ.); ადამიანური რესურსების განვითარების სქემების და მეთოდების (პროფესიული კონსულტირება და კარიერული დაგეგმვა, პროფესიული მომზადება და გადამზადება) გამოყენებით დასაქმების სახელმწიფო სამსახურები ხელს უწყობენ სამუშაოს მაძიებლების დასაქმებას. საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პროგნოზების საფუძველზე დგინდება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სავარაუდო ნიშნულები.

**შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარების 2015–2018 წლების სამოქმედო გეგმა**

N	ქვეპეტიკონები	პასუხისმგებელი ორგანიზაციები	მხარდამჭერი ორგანიზაციები	მოსალოდნელი შედეგები	შედეგის დადგომის ინდიკატორები	განხორციელების გრაფიკი				
						2015	2016	2017	2018	
<b>1. შრომის ბაზრის ინფორმაციის სისტემის ინსტიტუციური მოწყობის, სისტემის კომპონენტებზე პასუხისმგებელი სტრუქტურების, ინფორმაციის ნაკადების, მონაწილე მხარეების განსაზღვრა, როლებსა და ფუნქციების განაწილება;</b>										
1.1	შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის უწყებათა შორის საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა	ჯანდაცვა	განთლება, საუსტატი, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, სოფელი, შშს, სპორტი, სოციალური სააგენტო, დასაქმების კერძო სააგენტოები, დამსაქმებლები, პროფკავშირები	უზრუნველყოფილია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის გამართული ფუნქციონირება	საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის შესახებ გამოცემულია განაცხადის მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი; საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა და ოქმები					
1.2	სისტემის ადმი-ნისტრირებაზე, ფუნქციონირებაზე და მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური სტრუქტურული ერთეულის შექმნა	ჯანდაცვა	საკოორდინაციო ჯგუფი	ჯანდაცვის სამინისტროში შექმნილია სისტემის ადმი-ნისტრირებაზე, ფუნქციონირებაზე და მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური სტრუქტურული ერთეული	სტრუქტურული ერთეულის შექმნა ასახულია შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში					
1.3	შრომის ბაზრის არსებული ინფორმაციული ნაკადების განსაზღვრა	ჯანდაცვა	საკოორდინაციო ჯგუფი, ევროკავშირი	სისტემაში როლები და ფუნქციები გადანიშნულია არსებული ინფორმაციული ნაკადების შესაბამისად	იდენტიფიცირებულია შრომის ბაზრის მონიტორინგისათვის არსებული ინფორმაციები და ამ ინფორმაციების მოძიება/ შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყებები/ ორგანიზაციები; შედეგები ასახულია შეხვედრის ოქმში.					
<b>2. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებისათვის ნორმატიული აქტების მომზადება</b>										
2.1.	არსებული ნორმატიული აქტების რევიზია	ჯანდაცვა	საკოორდინაციო ჯგუფი, ევროკავშირი	სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის შესაბამისობაშია მოყვანილი ნორმატიული აქტები	განხორციელებულია სისტემაში შემავალი უწყებების ნორმატიული აქტების რევიზია, მომზადებულია რეკომენდაციები და განსახორციელებელი ცვლილებათა პროექტები					
<b>3. შრომის ბაზრის არსებული მონაცემების მოგროვება და ანალიზი, დანაკლისების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზები</b>										
3.1	არსებული ინფორმაციის მოძიება და მოგროვება	ჯანდაცვა	საკოორდინაციო ჯგუფი, ევროკავშირი	სისტემაში თავმოყრილია ყველა არსებული ინფორმაცია	სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხის-მგებელი ერთეულის ანგარიში მოძიებული ინფორმაციების შესახებ წარდგენილია საკოორდინაციო					

					ჯგუფში, საკოორდინაციო ჯგუფის მიერ მოძიებული ინფორმაცია მიჩნეულია სრულყოფილად				
3.2	მოძიებული ინფორმაციის ანალიზი და დანაკლისების გამოვლენა	ჯანდაცვა	საკოორდინაციო ჯგუფი, ეროვნული	არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლენილია დანაკლისები	შესწავლილი და გაანალიზებულია შრომის ბაზრის შესახებ არსებული ინფორმაცია. დადგენილია ინფორმაციის დანაკლისები. აღნიშნულის შესახებ ანგარიში წარდგენილია საკოორდინაციო ჯგუფში				
3.3	ინფორმაციის მოძიების/ მოგროვების მეთოდოლოგიების შეფასება	ჯანდაცვა	საკოორდინაციო ჯგუფი, ეროვნული	მონაცემთა არსებული მეთოდოლოგიები შეფასებულია, საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელებულია ცვლილებები	ინფორმაციების მოძიება/ მოგროვების მეთოდოლოგიების შეფასების ანგარიში და რეკომენდაციები წარდგენილია საკოორდინაციო ჯგუფში				
3.4	საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საინფორმაციო ნაკადების იდენტიფიცირება; (7.07.2017 N 331)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; (7.07.2017 N 331)	საკოორდინაციო ჯგუფი, ეროვნული	გამდინარეულია სისტემის საინფორმაციო ბაზა და აღმოფხვრილია ინფორმაციული დანაკლისები; (7.07.2017 N 331)	კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების ათვისების განსაზღვრული ცვლადები; (7.07.2017 N 331)				
3.5	საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებითი კვლევების ჩატარება; (7.07.2017 N 331)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; (7.07.2017 N 331)	საკოორდინაციო ჯგუფი, ეროვნული	შევსებულია ინფორმაციული დანაკლისი და იდენტიფიცირებულია საკითხის ირგვლივ არსებული გამოწვევები; (7.07.2017 N 331)	მოპოვებული თვისებრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია, იდენტიფიცირებული პრობლემები და მომზადებული რეკომენდაციები; (7.07.2017 N 331)	200,000	200,000	200,000	

4. შრომის ბაზრის კომპონენტთა კვლევების ინსტიტუციონალიზაცია.

4.1	შრომის ბაზრის მონიტორინგისათვის მუდმივად მნიშვნელოვანი ცვლადების იდენტიფიცირება.	ჯანდაცვა	საკოორდინაციო ჯგუფი, ეროვნული	განსაზღვრულია მუდმივად გამოსაკლავი ინფორმაცია	მომზადებულია ანგარიში და დასაბუთება; წარდგენილია საკოორდინაციო ჯგუფში				
4.2	კვლევების ინსტიტუციონალიზაციისათვის ადამიანური და ფინანსური რესურსის განსაზღვრა	ჯანდაცვა, საკოორდინაციო ჯგუფი	ეროვნული	კვლევები ხორციელდება შეუფერხებლად	მომზადებულია ანგარიში და დასაბუთება; წარდგენილია საკოორდინაციო ჯგუფში				
4.3	შრომის ბაზრის მითხოვნის კვლევის ინსტიტუციონალიზაცია; (7.07.2017 N 331)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; (7.07.2017 N 331)	ეროვნული	მომზადებულია კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო, ინსტრუმენტები და შესწავლილია დამსაქმებულების მითხოვნა ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებით; (7.07.2017 N 331)	განხორციელებული კვლევა მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით; (7.07.2017 N 331)	300,000	300,000	300,000	

5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ანალიზის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

5.1	სისტემის მომხმარებლებისათვის ანგარიშის მომზადება; (7.07.2017 N 331)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (7.07.2017 N 331)	საკოორდინაციო ჯგუფი, ეროვნული	მარტვი, პოპულარულ ენაზე ახსნილი და დროულად მომზადებულია სისტემის	შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემაში განთავსებული ყოველწლიური ანგარიში				
-----	---	--	-------------------------------	--	--	--	--	--	--

				ცვლადების ანგარიში (7.07.2017 N 331)	(7.07.2017 N 331)				
5.2	სისტემაზე საინფორმაციო აქტივობების ორგანიზება (7.07.2017 N 331)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (7.07.2017 N 331)	საკოორდინაციო ჯგუფი	გაზრდილია საზოგადოების ცნობიერება, მოლოდინი და ნდობა სისტემის მიმართ (7.07.2017 N 331)	მომზადებული მასალები, განხორციელებულ იღონისმიერები და შეხვედრები (7.07.2017 N 331)	300,000	350,000	400,000	400,000
5.3	შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის მომხარებასა და ინფორმაციის გამოყენებაზე მიზნობრივ აუდიტორიასთან შეხვედრების ორგანიზება (7.07.2017 N 331)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საკოორდინაციო ჯგუფი (7.07.2017 N 331)	ევროკავშირი	მომხმარებლები ფლობენ შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შესაძლებლობებს და აქტიურად იყენებენ სისტემაში განთავსებულ ინფორმაციას (7.07.2017 N 331)	ჩატარებული შეხვედრები (7.07.2017 N 331)	50,000	50,000		